B23061981/6 (01/06/2023 19:34:29)

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**B23061981** 01/05/2023 16:20:08 (განმცხადებელი: ნინო ჩილაჩავა/01030052691/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი**
დასახელება: **საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია - ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველ**
საიდენტიფიკაციო კოდი: **202065415**

არ აღმოიფხვრა შეჩერების სამართლებრივი საფუძვლები შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დადგინდა, რომ 2023 წლის 31 მაისს და 2023 წლის 1 მაისს სარეგისტრაციოდ წარმოდგენილია სხვადასხვა შინაარსის კრების ოქმი, კერძოდ

2023 წლის 31 მაისს წარმოდგენილ იქნა წევრთა საერთო კრების ოქმი, ხელმოწერილია კრების თავმჯდომარის გიგა კობალაძის სახელით მინდობილი პირის მიერ ანდრია ჩიტაშვილის მიერ, თუმცა ანდრია ჩიტაშვილი არ ესწრებოდა აღნიშნულ კრებას, ხოლო 2023 წლის 1 მაისს წარმოდგენილი ოქმი ხელმოწერილი იყო კრების თავმჯდომარის გიგა კობალაძის მიერ. ამასთან, აღნიშნულ ოქმში კრების ჩატარების თარიღად 23 აპრილი, თუმცა კრების ოქმი დათარიღებულია 05.05.2023წ.

გარდა ამისა, 2023 წლის 31 მაისს წარმოდგენილ წევრთა საერთო კრების ოქმში აღნიშნულია, რომ კრების მიერ მიღებულია გადაწყვეტილება წესდების ცვლილების შესახებ , თუმცა 2023 წლის 1 მაისს წარმოდგენილი კრების ოქმის მიხედვით წესდების ცვლილების შესახებ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული.

2023 წლის 31 მაისს წარმოდგენილი ოქმის მიხედვით წევრთა კრებას ესწრებოდა 536 წევრი. 2023 წლის 1 მაისს წარმოდგენილ წევრთა კრების ოქმში (23.04.2023) მითითებულია რომ წევრთა კრებაში მონაწილეობა მიიღო 558 წევრმა.

2. 2023 წლის 31 მაისს წარმოდგენილ წესდებაში შეტანილია დამატება გამგეობის სხდომის მოწვევის პროცედურასთან დაკავშირებით. ვინაიდან, არ არის წარმოდგენილი წევრთა ახალი კრების ოქმი ვერ დგინდება წევრთა კრების მიერ დამტკიცდა თუ არა სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი წესდების რედაქცია.

3. სარეგისტრაციოდ არ არის წარმოდგენილი სადამფუძნებლო შეთანხმება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენის ვადა : 02/06/2023-მდე